პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №

ქალაქ ქუთაისში მშენებლობის/გარდა განსაკუთრებული

მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა/

ნებართვისათვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის ,,დ.ბ" ქვეპუნქტისა ,,ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 და მე-6 მუხლების, ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1. ქალაქ ქუთაისში შემოღებულ იქნას მშენებლობის /გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა/ნებართვის მოსაკრებელი, რომელიც არის ადგილობრივ ბიუჯეტში აიცილებელი გადასახდელი.

მუხლი 2. მშენებლობის /გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა/ ნებართვისათვის მოსაკრებლის გადამხდელია მშენებარე ობიექტის მესაკუთრე ფიზიკური ან/და იურიდიული პირი.

მუხლი 3. მოსაკრებლის განაკვეთები (ოდენობა) და მისი გადახდის წესი განსაზღვრულია ინსტრუქციით.

მუხლი 4. მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლდეს სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტების მშენებლობა.

მუხლი 5. დამტკიცდეს ინსტრუქცია ,,ქალაქ ქუთაისში მშენებლობის /გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა/ნებართვისათვის მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ" N1 დანართის შესაბამისად.

/N1 დანართი (ინსტრუქცია) დადგენილებას თან ერთვის/

მუხლი 6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქალაქ ქუთაისში მშენებლობის /გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა/ნებართვისათვის მოსაკრებლის შემორების შესახებ" თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2007 წლის 26 თებერვლის N41 დადგენილება.

მუხლი 7. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე **ნიკოლოზ ლატარია**